გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება №133

2022 წლის 8 ივლისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და დავით ქებაძეს შორის 2020 წლის 30 ივლისს გაფორმებული №11 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონი შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და დავით ქებაძეს შორის 2020 წლის 30 ივლისს გაფორმდა №11 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ქუჩა სუხიშვილი, (ტურბაზის მიმდებარე), არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 388 კვ.მ; ს/კ 66.45.08.167) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია დავით ქებაძის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ არსებული პანდემიის გამო ვერ განხორციელდა სამუშაოების დასრულება და შესაბამისად - პირობის შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავით ქებაძე ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას ერთი წლით, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და დავით ქებაძეს შორის 2020 წლის 30 ივლისს გაფორმებული №11 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ქუჩა სუხიშვილი, (ტურბაზის მიმდებარე), არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 388 კვ.მ; ს/კ 66.45.08.167) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და დავით ქებაძეს შორის 2020 წლის 30 ივლისს გაფორმებული №11 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ქუჩა სუხიშვილი, (ტურბაზის მიმდებარე), არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 388 კვ.მ; ს/კ 66.45.08.167) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე